ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: დავით სილაგავა (ტელ: 599 58 24 47)

საფუძველი: 25.12.13 წ. 12/13359504-16

მისამართი: სექტორი-დიდუბე, გუდაუთის ქ. №7 (ნაკვ. №004/094)

საკადასტრო კოდი: №01/13/05/004/094

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 19.09.2013 წ. №952518 (AR 1163209 19.09.2013 წ.)

ფუნქციური დანიშნულება: სასაწყობე და საოფისე შენობა-ნაგებობების რკინაბეტონის კარკასის შევსებისა და არსებული მიწისქვეშა რეზერვუარების რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენებით) (IV კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (10.02.14) დადგინდა:

შეცვლილია საპროექტო შენობის ფერი, ფასადებზე არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები ლურჯი ლითონის კანტები. "ა-გ" მონაკვეთში შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია. შენობის ფასადებზე შეცვლილია ფრამუგების და კარების გაბარიტები, რაოდენობა და ადგილმდებარეობა, შეცვლილია მათი ნახატი. შეცვლილია კარების მასალა (არ არის მოწყობილი ხის კარები).

ფასადი ა-ე ღერძებში: "ა-ბ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჩრდილობელი (ლითონის საყრდენებით), ასევე დამატებულია არსებულ რეზერვუარში შესასვლელი კარი და პანდუსი. "ბ-გ" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულის ქვევით გაუქმებულია ფრამუგები.

ფასადი 1-5 ღერძებში: "2-4" მონაკვეთში შეცვლილია ბაქანი და პანდუსი (მოწყობილია ბლოკის კედელი). არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები ხის მოაჯირები და კიბე.

ფასადი ე-ა ღერძებში: "ბ-ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჩრდილობელი (ლითონის საყრდენებით), ასევე დამატებულია არსებულ რეზერვუარში შესასვლელი კარი და პანდუსი. "გ-ა" მონაკვეთში გაუქმებულია ფრამუგის ღიობები. "ე-ე" ღერძთან გაზრდილია სახურავის სიგრძე.

შენობის შეგნით ლითონის კედლებზე და გადახურვის ქვეშ ჭრილის ნახაზზე არ არის ნაჩვენები ლითონის კონსტრუქციები. "3-4" მონაკვეთში შეცვლილია სვეტები და გადაადგილებულია.

შეცვლილია საპროექტო საწყობის გაბარიტული ზომები. საწყობის გვერდით არსებულ კარკასზე არ არის განხორციელებული გენ. გეგმაზე ნაჩვენები სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ტექ. ხარვეზი: გაზრდილია არსებული რეზერვუარის სიმაღლე.

გ.გეგელაშვილი